ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო ჩემპიონობას გულოცავთ ქეთევან კახიანს



არც თავის ქებაში ჩამოგვერთმევა, არც გადაჭარბებაში: ქართველ მოჭადრაკე ქალთა მიღწევები ჭეშმარიტად უნიკალური მოვლენაა სპორტის ისტორიაში. ქართულ ფენომენადაც იმიტომ მონათლეს საჭადრაკო ოლიმპზე მათი ასე ხანგრძლივად მკვიდრობა. არანაკლებ საოცარია ისიც, რომ „ნიჭის საბადო“ არ ილევა საქართველოში, დროდადრო ყოველ ახალ „ტალღას“ ახალი ტალანტი მოსდევს.

რამდენიმე დღეა, რაც ქეთევან არახამიას წარმატებით გვიხარეთ, და, აი, კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა: ჩილეში დასრულდა 20 წლამდე ასაკის გოგონების ტურნირი, რომელსაც მსოფლიოს უძლიერესი ახალგაზრდა მოჭადრაკე ქალი უნდა გამოევლინა. საერთაშორისო ოსტატმა ქეთევან კახიანმა ქართული საჭადრაკო სკოლის ტრადიციების საკადრისად იასპარეზა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ვულოცავთ ქეთევანს და მის მწვრთნელს გიორგი მაჭარაშვილს ამ სასახელო მიღწევას!


ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

6 სექტემბერი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№169 (10 338) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## კონფერენცია მოსწავლეთა სპარტაკიადის შედეგებზე

ეს შეხვედრა — სახალხო განათლების სამინისტროს, რესპუბლიკის სპორტსახკომის, სპორტსაზოგადოებების ხელმძღვანელი მუშაკებისა ჟურნალისტებთან გაიმართა 4 სექტემბერს. ინფორმაციით გამოვიდნენ სახალხო განათლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსი, სპორტსაზოგადოება „მართვეს“ თავმჯდომარე მურთაზ მნათობიშვილი, სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ჯანსულ ჩარკვიანი, „შევარდენის“ თავმჯდომარის მოადგილე ოთარ კალაძე, „დინამოს“ პასუხისმგებელი მუშაკი ვახტანგ ცაგარეიშვილი.

პრესკონფერენციის მონაწილეებმა პასუხი გასცეს ჟურნალისტთა შეკითხვებზე.

# მაინც წარმატება



**ნიუ-იორკი.** აშშ-ს ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის პირველი ნახევარფინალისტები გახდნენ გაბრიელა საბატინი (არგენტინა) და მერი ჯო ფერნანდესი (აშშ). საბატინიმ მძაფრ ბრძოლაში თბილისელი ლეილა მესხი დაამარცხა (7:6, 6:4), ფერნანდესმა კი შვეიცარიელი მანუელა მალეევა — 6:2, 2:6, 6:1.

ასეთ ავტორიტეტულ ასპარეზობაში მეოთხედფინალში გასვლა მაინც დიდი წარმატებაა.

## კონფერენცია ოლიმპიადების სამშობლოში

**ათენი.** „ოლიმპიური მოძრაობა დღეს“ — ასეთია უმთავრესი თემა აქ გახსნილი საერთაშორისო კონფერენციისა, რომლის მოწვევის თაოსნები არიან ეროვნული მოსამზადებელი კომიტეტი „ათენი-96“ და ოლიმპიური თამაშების მედალოსანთა საბერძნეთის ასოციაცია. ბერძნები ამ კონფერენციაზე დიდ იმედს ამყარებენ — სულ მალე ტოკიოში გაიმართება სოკ-ის სხდომა, რომელზეც გადაწყვეტენ, სად გაიმართოს 1996 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, საბერძნეთი კი ერთობ მოწადინებულია უმასპინძლოს ამ საიუბილეო ოლიმპიადას.

ეს თქვენ გაინტერესებდათ

# ჭერჭეროებით არ გადაუწყვეტია

**„ლელოს“** 4 სექტემბრის ნომერში გამოვაქვეყნეთ ინტერვიუ სათაურით „სხვებსაც მოუტანონ სიკეთე“, რომელშიაც ლაპარაკი იყო ჟურნალისტის, კლასიკურ ჭიდაობაში სპორტის ოსტატის, სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალისტის იური გალდავას ფსიქოთერაპიულ-ექსტრასენსური მეთოდით მკურნალობის შესაძლებლობებზე. ამ დღეებში რედაქციაში გამუდმებით გვირეკავენ, გვთხოვენ, ვაცნობოთ მკურნალის მისამართი.

გუშინ იური გალდავა რედაქციაში მოვიწვიეთ. აი, რა გვითხრა მან: „დიდი ხანია დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონი მთხოვს მათთან ჩავიდე სამუშაოდ, ჭერჭერობით ვერ გადამიწყვეტია, სად და როდის შევუდგები საქმეს. როგორც კი ეს საკითხი გადაწყდება, მკითხველებს აუცილებლად ვაცნობებ“.

# საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა

## დაინტერესდა საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი

**მოსახლეობის** საყოველთაო გაჯანსაღების ეროვნული ასოციაციის შექმნის წინადადებისადმი, რომლის მიზანია ერთი ხელმძღვანელი ორგანოს შექმნა და მთელი პრაქტიკული მუშაობის უშუალოდ საცხოვრებელ ადგილებში გადატანა, საქმიანი დაინტერესება გამოიჩინა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმმა.

გუშინ „ლელოს“ რედაქციაში გამართულ საორგანიზაციო კომიტეტის მორიგ სხდომაზე გვეწვივნენ საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობის საკითხთა განყოფილების გამგე თეიმურაზ ჩიქოვანი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის სამმართველოს უფროსი თეიმურაზ მეგრელაძე და საბურთალოს რაიაღმასკომის მთავარი სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში კაცია გიორგობიანი.

სტუმრებმა საორგანიზაციო კომიტეტს აღუთქვეს გაზეთის მიერ წამოჭრილ საკითხებში სრული მხარდაჭერა და თანადგომა. ორგკომიტეტის წევრები დაინტერესდნენ მთელი რიგი საკითხებით, რაზედაც კვალიფიციური და ამომწურავი პასუხი მიიღეს.

ორგკომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს აგრეთვე ვაშლიჯვარში და დიდ დიღომში გამაჯანსაღებელი კლუბებისთვის ადგილის შერჩევის საკითხზე. გადაწყდა: ვაშლიჯვარში უმოკლეს დროში ჩატარდება უკვე გამოყოფილი ფართობის კეთილმოწყობის სამუშაოები, დიდ დიღომში (პეტრიწის, 15) პირველი სართულის გამოყოფაზე ორგკომიტეტი კონკრეტულ წინადადებას შეიტანს საქალაქო საბჭოს აღმასკომში.

განიხილეს ასოციაციის წესდების პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხებიც. გარდა ადრე დარიგებული პროექტისა, ამჯერად სხდომაზე წარმოადგინეს ორი ალტერნატიული წესდების პროექტი. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სამგორის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე სოსო ნემსიწვერიძის პროექტმა.

# ნიჩბოსნების წილი „ოქროც“

ეს ცნობა ყველაზე გვიან მივიღეთ, მაშინ, როცა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, ფაქტობრივად, დასრულებული იყო და ყველგან მედლების დათვლა-დაანგარიშებით იყვნენ გართულნი.

ერთი სიტყვით, აკადემიური ნიჩბოსნობის წარმომადგენლებმა ყველაზე ბოლოს „გადაკვეთეს“ სპარტაკიადის „ფინიშის ხაზი“. ბევრი იქნებ არც ელოდა ჩვენი ნიჩბოსნების წარმატებას — ეს სახეობა ხომ გვარიანად ჩამოგვირჩა — მაგრამ ჩვენი ჭაბუკების ბუნებრივმა ნიჭმა და მწვრთნელთა ალღოიანმა გარჯამ მრავალი სიძნელე გადალახა და გასახარი შედეგიც მოიტანა: კალუგაში გამართულ რეგატაში ოთხადგილიანი მესაჭიანი ნავის ეკიპაჟი ალექსანდრე გუგეშაშვილის, ზაქრო შპეტიშვილის, მაქსიმე მორჩაძის, ვლადიმერ ქუმარიტოვის და ოთარ ლონდარიძის (მესაჭე) შემადგენლობით პირველი მიცურდა ფინიშის ხაზთან და საქართველოს მოსწავლე სპორტსმენთა უხვ ნადავლს „თავისი წილი ოქრო“ შემატა.

გოგოების გაცურვაში მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ორადგილიანი ნავით მოასპარეზე თბილისელმა ნიჩბოსნებმა მარინა პრონინამ და ელენა სტობლჩენკომ.

საქართველოს აკადემიურ ნიჩბოსანთა ნაკრები გუნდის მომზადებას ხელმძღვანელობდა გამოცდილი აღმზრდელი და სპეციალისტი ოთარ ბერელიძე.



ხამი ათეული წელი კალათბურთელისთვის არაფერია, თუ გული ერჩის და აქვს უნარი, თან გაიყოლოს ახალგაზრდები, უწინამძღვროს მათ. ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება ჩვენი კალათბურთის ისტორიიდანაც. ერთი „დღეგრძელი“ ქართველი დღეს პოლონეთის კლუბ „ლეხ პოზნანში“ თამაშობს. ეს გახლავთ ქორქიათა სახელოვანი საკალათბურთო დინასტიის წარმომადგენელი ნოდარი, რომლის შეხვედრაც მახალა ის. გაზეთის მე-4 გვერდზე.

მატიანე

ფრიდონ ლომიძე კრივს მისმა ნიჭმა, შეჯიბრებისა და გამარჯვების დაუოკებელმა წყურვილმა აზიარა. ევროპის ჩემპიონი არ ყოფილა, არც — საბჭოთა კავშირისა, მაგრამ როგორი ძალისა და უნარის მოკრივე იყო, ყველაზე კარგად, ალბათ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვლადიმერ ენგიბარიანმა უწყის. იგი ხომ ფრიდონ ლომიძის მთავარი კონკურენტი იყო ქვეყნის ნაკრებში.

მასზე ამბობდნენ: ასეთი მოკრივე საუკუნეში ერთხელ იბადებაო. ეს ალბათ ასეც იყო, ყოველ შემთხვევაში, ვისაც ლომიძე ერთხელ მაინც უნახავს რინგზე, დაბეჯითებით ირწმუნება — გაცილებით მეტის ღირსი იყო, ვიდრე მიაღწიაო.

სხვათა შორის, ასე ფიქრობდა ვანო მარქაროვიც — მისი და ბევრი სხვა ნიჭიერი ქუთაისელი მოკრივის აღმზრდელი. ვ. მარქაროვი იგონებდა: „ხშირად მეკითხებიან, მაინც ვინ იყო შენს მოსწავლეთა შორის ყველაზე გამორჩეული მოკრივეო. მართალი გითხრათ, ასე ხელაღებით გამოყოფა ცოტა მიჭირს და მეუხერხულება კიდეც. თენგიზ გუჯაბიძეს, მაგალითად, ტექნიკა ჰქონდა განუმეორებელი, მეორე ასეთი დახვეწილი მოკრივე არც შემხვედრია. ნოგენ თორთლაძე გაბედული და ეშმაკი მებრძოლი იყო, სწორუპოვარი ტაქტიკოსი, ზებულა მაჭავარიანს ორი კაცის ძალა ჰქონდა, ჯუმბერ კვანტალიანს — უჩვეულო შინაგანი ალღო. აი ყველა ეს თვისება ერთ მოკრივეში რომ გაერთიანდეს, სწორედ ასეთი გახლდათ ფრიდონ ლომიძე“.

რა იყო მასში ყველაზე მეტად მოსაწონი, განსაკუთრებული? ზოგს მისი ბრძოლის მანერა ხიბლავდა — ერთსა და იმავე დროს გახსნილიც და შენიღბულიც. ზოგს მოსწონდა



მისი დარტყმის ძალა, რომელსაც უსათუოდ ნოკდაუნი ან ნოკაუტი უნდა მოჰყოლოდა; ზოგს — დისტანციის ალღო, დაცვის სტილი, მანევრირების უნარი, მაგრამ მისი მთავარი ღირსება (და შესაძლოა — ნაკლიც) ხასიათი იყო: ვაჟკაცური, შეუპოვარი, უშიშარი.

დიახ, ფრიდონ ლომიძის ღირსებაც და ტრაგედიაც მისი ხასიათი იყო. ხასიათივე გახდა მისი ცხოვრების ტრაგიკული ფინალის მიზეზი (ფრიდონ ლომიძე ავტოკატასტროფის მსხვერპლი გახდა ქუთაისში).

რაგბი

## თვალსაზრისი

# „ძმრე არ არის, თაყაო…“

**ამთავითვე** ვიტყვი: ამ წერილის ბევრი წამკითხველი, მეტადრე — ძალაუფლების მქონებელი, შემოსწყრება ავტორს — ქართული რაგბის „სამზარეულო“, მისი შინაური საქმეები, რა საზოგადოების სამსჯავროზე გამოსატანი იყოო... მე კი თავს იმით ვიმართლებ და ვინუგეშებ, რომ, ჯერ ერთი, პრობლემათა მიჩუმათებას არავისთვის და არსად დაუყრია ხეირი, და მეორეც, თუ არა პრესის შემწეობით, მორაგბეთა ლიანგს დღესდღეობით ვერანაირად მიაწვდენ ხმას, ვერ გააცნობ შენს თვალსაზრისს, რაკიღა რაგბის კავშირის სხდომებს ოდენ რჩეული საზოგადოება ესწრება, და იქაც, რამის თქმა რომ მოახერხო, გვარიანი თავხედობა — კადნიერება და სხვისი დათრგუნვის უნარიც უნდა მოგდგამდეს, რამეთუ არავის სურს სხვისი მოსმენა და დამსწრენი, ჩვეულებრივ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან.

წინათქმას იმასაც დავუმატებდი, რომ ქვემოთ მოტანილი მოსაზრებანი ოდენ ავტორის ნააზრევი როდია; ასე ბევრი ფიქრობს, პირველ ყოვლისა კი — ქართული რაგბის ასოციაციის (ქრა) თავკაცები და რიგითი ქართული გუნდების მწვრთნელები, რომლებთანაც გამუდმებული ურთიერთობის წყალობითაც ჩამომიყალიბდა ამ წერილში გამჟღავნებული მრწამსი.

ახლა კი, უშუალოდ სათქმელზე გადავიდეთ.

დავიწყოთ იმით, რომ დღეს ქართული რაგბი, ფეხბურთისაგან განსხვავებით, გზის გასაყარსაა მიმდგარი: ან გადარჩება, ე. ი. გათავისუფლდება „ცენტრის“ ნებაყოფლობითი მორჩილებისაგან და, ფეხბურთის მსგავსად, ჭეშმარიტად ეროვნულ ნიადაგს დაეფუძნება, ანაც თავს დაიღუპავს, ანუ კვლავაც რუსული რაგბის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად დარჩება. აქვე დავუმატებ, რომ დროა, რაგბიზე წერისას აღარ ვითვალთმაქცოთ და, სადაც ადრე „საბჭოთას“ და „საბჭოელს“ ვწერდით, თქმით კი „რუსულს“ და „რუსს“ ვამბობდით, ამიერიდან „რუსული“ და „რუსი“ ვწეროთ და ვთქვათ.

ასეთი შესავლის წამკითხველი, უეჭველია, გაოცებული იკითხავს: „კი მაგრამ, საქართველოს რაგბის კავშირის ესოდენ გახმაურებული დამოუკიდებლობა რაღაა?“ — „რაა და **სრული ფიქცია**, ფართო საზოგადოებრიობისათვის თვალში ნაცრის შეყრა!“ — ამგვარი მგონია პირუთვნელი პასუხი.

მკითხველმა თავად განსაჯოს: მართალია, რაგბის საერთაშორისო საბჭოში (ირბ) ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ვაფრინეთ ოფიციალური ქაღალდი, „დამოუკიდებელი რაგბის კავშირი ვართ და თქვენს წევრად მიგვიღეთო“, წლეულს, მარტში კი რუსებსაც გამოვძალეთ (დიახაც, გამოვძალეთ — სხვაგვარად ვერც იტყვი; თუმცაკი, თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოძალვა, არა მგონია, მთლად უკადრისი ხერხი იყოს) დამოუკიდებლობის წერილობითი აღიარება, მაგრამ ეს საბუთები ფარატინა ქაღალდებად დარჩა, ვინაიდან ოთხი უძლიერესი ქართული გუნდი, ე. ი. არც მეტი, არც ნაკლები — 100 უძლიერესი ქართველი მორაგბე — მთელი შვიდი (!) თვით მაინც რუსეთის ჩემპიონატში აღმოჩნდა ჩაბმული (აქ „გამწესებული“ ან „დატყვევებული“ უფრო მართებული სიტყვები მგონია) და, აქედან გამომდინარე, შინაურ სარაგბო ცხოვრებას რეალურად მოწყვეტილი.

რუსეთის ჩემპიონატის პარალელურად ამ ოთხი გუნდის საქართველოს ჩემპიონატშიც მონაწილეობა ნურავის შეაცდენს — მათი მხრიდან, ეს მოწყალების გაღებას, თანაც მოვალეობის მოხდას უფრო ჰგავს, ვიდრე ეროვნული რაგბის ინტერესების შეგნებულ მსახურებას. ცოტა უკაცრავად კი ვიქნები „მიმინოსთან“ და „გელათთან“ — რაც მართალია, მართალია, ეს გუნდები ზემოთქმულ საყვედურს სანახევროდაც არ იმსახურებენ. აი, „აია“ და „ელმავალი“ კი — გიყვარდეთ, როგორც მაგათ სულს ეცხება მალამოდ საქართველოს პირველობაზე თამაში! ჯერ ჩემპიონატი დაწყებული არ იყო და, რკინიგზელებმა მოითხოვეს, „თამაშთა განრიგი ნაწილობრივ შეგვიცვალეთ, ვინაიდან რუსეთის ჩემპიონატისათვის დაგეგმილ საწვრთნელ შეკრებაში (?!) ხელს გვიშლისო“. მერე იყო და — „ზიმბაბვეში ნამყოფმა ბიჭებმა არ იციან, შინ „უნივერსიტეტთან“ თამაში რომ ელით და, როცა თბილისში მოგვიხელთებთ, მაშინ გვათამაშეთ სტუდენტებთანო!“, მერე იყო კიდევ ორი ჩაშლილი თამაში — ერთი „ხოოვეტთან“, მეორე კი — რისი მიტევებაც ძალზედ ძნელია — „ამერ-იმერის შერკინება“, წლეულს, 26 მაისს, პირველად რომ უნდა გამართულიყო და სასახელო ტრადიციად ქცეულიყო. ისე კი, იქნებ კარგიცაა, ეს თამაში რომ ჩაიშალა — როცა ქართული რაგბი ჭეშმარიტად დამოუკიდებელი იქნება, იმ დროს უფრო მოუხდება!

ახლა ამ შეხვედრების არგამართვის მიზეზებს აღარ იკითხავთ? „ელმავალი“ სათამაშოდ ტაგანროგსა და კიევს წაბრძანდა და ორივე ქალაქიდან უთამაშებლად (!) დაბრუნდა. თურმე, ნუ იტყვით და, გუნდსა თუ „მოსკოვს“ — ვერ კი დავადგინეთ, რომელს — მთელი ერთი თვით შეშლია შეხვედრების გამართვის თარიღები. რაღა თქმა უნდა, რუსების დამჯერი და ქართველთა მოურჩე რკინიგზელები ერთი თვის შემდეგ ხელმეორედ გაემგზავრნენ ორივეგან, რის გამოც ეროვნული ჩემპიონატის კიდევ ორი თამაში გააცდინეს, კიევში კი, საქართველოს ჩემპიონატით უკმაყოფილოებს და ხშირად მის მაგინებელთაც (მოედნიდან ორი გაძევება ამის დასტურია), აღარც სათაყვანებელი რუსეთის ჩემპიონატი მოსწონებიათ და მსაჯობით განაწყენებულებს მოედანი დაუტოვებიათ. აქ, რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

არავინ იფიქროს, რომ „ელმავალია“ ერთადერთი ცდომილი, ხოლო მისი მოძმე და მთავარი მეტოქე „აია“ რკინიგზელებს რამით ჩამოუვარდება. — არავითარ შემთხვევაში. თუმცაკი ქუთაისელებს ალღო ნაკლებად ღალატობთ: სეზონი ხომ იმით დაიწყეს, რომ „არიქა“, რუსეთის სამგზის ჩემპიონები, ფეხბურთელთა მსგავსად, რუსეთის პირველობას თავს ვანებებთო“. მერე იყო და, თბილისელებმა და რაგბის კავშირმა ერთი ამბავი აუტეხეს, აქაო და, „რუსებთან ურთიერთობა არ გაგვირთულოთ, **თანხმობის ქაღალდს გვაძლევენო**“, — და ქველი და ვაჟკაცური განზრახვა გადაათქმევინეს გუნდს. და აი, „აია“ ორივე ჩემპიონატში ჩაება და მაისის ბოლომდე კარგადაც ირჯებოდა. თუმცა „ღირსეულად“, ანუ ექვსი ან ნაკლები ბურთით, წაგებების გაუქმებამდე მეტოქეებს საეჭვოდ ლმობიერად ეპყრობოდა. მერე, არ ვიცით, რა მოხდა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: ივნისში გუნდს საქართველოს ჩემპიონატის ერთი მატჩიც არ გაუმართავს. თუ საკითხს ჩავუღრმავდებით, ამის მიზეზს ადვილად დავადგენთ: სანამ „აია“ ქუთაისში იყო „დაბანაკებული“, იოლად აუდიოდა რუსთა და ქართველთა მასპინძლობას, ე. ი. მათთან თამაშს. აი, ივნისში კი, როცა გუნდს თბილისში უნდა გაემართა თამაშები, აქ ხშირად ჩამოსვლა, ანუ თავის შეწუხება მან არ ისურვა და შეხვედრები ჩაშალა. ტყუილად ხომ არ იყო „აია“ სტუ-ს დაყაბულებას რომ ეცადა, „ორივეჯერ ქუთაისში ვითამაშოთო!“ ერთი სიტყვით, ცოდვა გამხელილი სჯობსო და არც ქუთათურებს უღირთ ჩირად ეროვნული ჩემპიონატი,

ერთი სიტყვით, ასეა საქმე: „აიასა“ და „ელმავალს“ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობა აინტერესებთ იმდენად, რამდენადაც ეს ხელს არ შეუშლით რუსებთან თამაშში, ამ შეხვედრებისათვის უკეთ მოამზადებთ, გაავარჯიშებთ, ამასთან — „აიას“ შემთხვევაში — ახალგაზრდებსაც გამოაწრთობინებთ. ამიტომ, შემთხვევითი როდია, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების ლიდერ ნ. ძაგნიძეს ჩვენს ჩემპიონატში ჯერ არ უთამაშია, საქართველოს რაგბის კავშირის (სრკ) დადგენილებით კი, მოთამაშე, ვინც ეროვნულ ჩემპიონატში არ მონაწილეობს, ნაკრებში ვერ მოხვდება.

თუმცა რა დადგენილება, რის კანონი?! — ქართული რაგბი აგერ უკვე 30 წელია არსებობს და კანონი, წესი თუ წესდება არავის გახსენებია, რამეთუ არ დასჭირვებიათ. იყო ერთი ქაოსი, ორომტრიალი და საკუთარი ნება-სურვილის ძალით გატანა.

ახლაც ასეა. ზუსტად ერთი წელია, რაც ქრა-ს წარმომადგენელმა ირბ-ში გასაგზავნად სრკ-ს შეუდგინა წესდება; კავშირმაც დიდი ამბით დაურიგა ამ დოკუმენტის ასლები ყველა ნაცნობსა თუ უცნობს, კეთილის თუ ავისმოსურნეს, „მკითხეს“ თუ „არამკითხეს“, ის კი არასგზით ქნა, თავად ქართულ სარაგბო გუნდებს რომ განეხილათ ეს წესდება, შეესწორებინათ და შემდეგ სამოქმედო კანონად მიეღოთ. ერთი სიტყვით, **დღეს სრკ უკანონოდ არსებობს;** მისი გამგეობა (არავინ უწყის, რა პრინციპით არჩეული) გუნდებისაგან გარიყულია და, როგორც სურს, ისე ჭრის და კერავს; გუნდები კი — რაკიღა თავიანთ წარმომადგენლებად და სარაგბო საქმეების განმგებლებად არავინ აურჩევიათ, რამდენადაც სრკ-ის წევრობაზე არასოდეს დათანხმებულან და ვერც თავიანთი და გამგეობის უფლებამოვალეობანი გაურკვევიათ, — ან არ ერევიან კავშირის საქმეებში, ან კიდევ, როგორც ამას „ელმავალი“ და „აია“ სჩადიან, ერთთავად ეურჩებიან და თავიანთ ნება-სურვილსაც თავს ახვევენ მას, უფრო ხშირად კი — სათვალავში საერთოდაც არ აგდებენ.

კავშირის გამგეობასაც რაღა დარჩენია? — „ამ ორ გუნდს — საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშეთა და მწვრთნელთა კრებული რომაა, ამასთან, რუსეთში აღმოცენებული რაგბის პროფესიულ ლიგაში გადასვლის პოტენციური კანდიდატებიც რომ ჰგონია, — არ ვაწყენინოთო?“ და მათ ყოველ დარღვევაზე თვალს ხუჭავს. ანდა რა შეუძლია? სიტყვაზე, „აკადემიასთან“ გამოუცხადებლობისთვის „აიას“ წაგება რომ ჩაუთვალოს, ქუთათურებს ეს სასჯელი სიცილადაც არ ეყოფათ! დიდება მოაკლდებათ თუ პატივი?! ანდა, „აკადემიას“ რაში არგია ასეთი მოგება?!

**ერთი სიტყვით, იმის თქმა მსურს, რომ სანამ ჩვენში რაგბი წესსამებრ არ დაფუძნდება, სანამ გუნდები ნებაყოფლობით არ შექმნიან კავშირს და დაიდგენენ წესდებას, მანამდე რაიმე კანონიერებაზე თუ დემოკრატიაზე, და შესაბამისად — წინსვლაზე, ლაპარაკიც კი ზედმეტად მიმაჩნია.** ხოლო ქართველ მორაგბეთა ერთი ნაწილის და რაგბის კავშირის გაორება, ანუ ერთდროულად „იქაც“ და „აქაც“, სინამდვილეში კი — არც „იქ“ და არც „აქ“ ყოფნა, ზნეობრივად ხომ შეუწყნარებელია და ვეჭვობ, რამენაირად ხეირის მომტანი მაინც იყოს (ამას იმათთვის ვამბობ, ვისაც ხეირი ზნეობაზე ძვირად უღირს.)

ვიცი, აქ ოპონენტები ერთ ამბავს ამიტეხენ, „რუსული რაგბიდან სრულ გამოყოფას რომ ქადაგებთ, მერე რანაირად მოაწყობთ სარაგბო ცხოვრებასო.“ და კიდევ, „თუ დემოკრატიაა, რატომ გვიშლით რუსებთან თამაშსო“.

ამ შეკითხვებისთვის პასუხი უამრავჯერ გამიცია, მაგრამ ოპონენტებს, როგორც ჩანს, არასდროს ჰყოფნიათ მოთმინება და კეთილი ნება, ბოლომდე რომ მოესმინათ ან წაეკითხათ. იმედია, ახლა მაინც ეყოფათ.

ერთი, რომ რუსებთან ურთიერთობის გაწყვეტას არავინ მოითხოვს და არც მათთან თამაშს გიკრძალავთ ვინმე. ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ ქართული გუნდები რუსებს, როგორც სწორი სწორს, ისე უნდა ეთამაშებოდნენ, თანაც შეძლებისდაგვარად მაღალ — ეროვნულ ნაკრებთა, კუთხეთა ნაკრებთა (მაგ. დასავლეთ საქართველო — ციმბირი) დონეზე და დღევანდელისგან განსხვავებით — **უფრო იშვიათად**, ესე იგი: კლუბებად დაფანტული უძლიერესი ქართველი მორაგბეები შვიდი თვის განმავლობაში კი არ უნდა მონაწილეობდნენ სხვისი ეგიდით გამართულ ჩემპიონატში, მშობელი დედის მაგივრად ვერაგ ძიძას კი არ უნდა შეჰყურებდნენ ხელში, არამედ ერთი-ორი თვის მანძილზე, ტურნეების დროს, ნაკრებებად უნდა ეთამაშონ იმავე სტატუსის რუსულ გუნდებს. დანარჩენ დროს ქართველი მორაგბეები სრკ-ის ეგიდით გამართულ საშინაო შეჯიბრებებში უნდა მონაწილეობდნენ, ხოლო სრკ-ის ძალაუფლებას ყველა საკითხში — უსიტყვოდ აღიარებდნენ. აქვე დავძენ, რომ ეს ზუსტად ასეა ყველაზე ნორმალურ რაგბის კავშირში.

რაც შეეხება ახლანდელ ზეკლუბებს — „აიასა“ და „ელმავალს“, მათ რეალური ვითარების მიხედვით უნდა შეეცვალოთ სტატუსი და, შესაბამისად, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ნაკრებებად გადაკეთდნენ — რა თქმა უნდა, თავიანთი მწვრთნელებითურთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საშინაო შეჯიბრებებში ქუთაისმა დღევანდელი ორის ნაცვლად 3-4 კლუბი უნდა გამოიყვანოს, „ელმავალი“ კი, მოთამაშეთა მეტი წილის „შინ“, სხვა კლუბებში, გაშვების შემდეგ, რიგით კლუბად იქცეს.

ამით ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეთა დონე გათანაბრდება, ეს კი კონკურენციას გაამწვავებს, რაც დიდად წაადგება მოთამაშეთა ოსტატობის ზრდას. გარდა ამისა, ნიჭიერ მოთამაშეს ამიერიდან თავის გამოჩენის მეტი შანსი ექნება, თუნდაც იმით, რომ წინსვლისთვის, დღევანდელისგან განსხვავებით, მაინცდამაინც ზეკლუბში გადასვლა აღარ მოუწევს. თანაბარუფლებიანი კლუბების მოთამაშეებსაც თანაბარი შანსები ექნებათ; ვინც მეტს და უკეთ ივარჯიშებს, მეტად დაწინაურდება: ჯერ კუთხის ნაკრებში მოხვდება, შემდეგ — სტუდენტურ, ახალგაზრდულ, მეორე და ეროვნულ ნაკრებებში (ეს მიმდევრობა, რაღა თქმა უნდა, პირობითია.)

ყველა ზემოჩამოთვლილ ნაკრებს თავ-თავისი კალენდარი ექნება: წელიწადში ერთი-ორი ტურნე (რუსეთში თუ სსრკ-ის გარეთ) და ასევე ერთი-ორი სტუმრის დახვედრა. ამასთან, ნაკრების მოთამაშეები, თავ-თავიანთი კლუბების გარდა, პარალელურად ნაკრებშიც ივარჯიშებენ — ვთქვათ, კვირაში ერთხელ.

თუ ეროვნულ ჩემპიონატში დაახლოებით 25 ტური გაიმართება, თითო ტურნეში კი 5-7 თამაშს ვიგულისხმებთ, წამყვან მორაგბეებს წელიწადში 40-მდე თამაში გამოუვათ, რიგითებს — 25-მდე, რაც სრულიად შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს. აქვე შევნიშნავ, რომ ყველა ეს თამაში დაძაბული იქნება. ამას იმ ოპონენტების გასაგონად ვამბობ, რომლებიც წამდაუწუმ შემახსენებენ ხოლმე, — თქვენი გეგმებით სეზონში 7-8 „ნაღდი“ თამაში თუ გამოგვივა, ეს კი ჩვენი თამაშის კლასს ავნებსო“.

თამაშის კლასმა ფეხბურთი გამახსენა. საერთოდ, ამ ბოლო დროს, — აქაო და ფეხბურთში ყველა ერკვევა, მსოფლიო რაგბის ნამდვილ სტრუქტურაზე კი ჩვენს მეტს არავის მიუწვდება ხელით — ქართული რაგბის „მამებმა“ რუსეთთან „ურღვევი კავშირის“ გასამართლებლად ერთთავად ფეხბურთელთა მაგალითის მოტანა და რაგბიში მისი მექანიკურად გადმოღება დაიწყეს, რაც აბსოლუტურად არასწორად მიმაჩნია; და აი, რატომ:

ფეხბურთსა და რაგბის შორის დიდი სხვაობაა (ცხადია, თამაშის წესებს არ ვგულისხმობ!). ფეხბურთი მსოფლიო სპორტია, რაგბი — არა. ფეხბურთი პროფესიულია, რაგბი (მისი თხუთმეტკაციანი ნაირსახეობა) — ალაღად სამოყვარულო. ამ ორი მაჩვენებლის განსხვავების გამო დიამეტრულად საპირისპიროა საერთაშორისო ფეხბურთისა და რაგბის სტრუქტურა: ფეხბურთში ერთი მსოფლიო ორგანიზაციაა — ფიფა, რაგბიში — სამი: ირბ, ფირა და აზიის კავშირი. ფიფა აბსოლუტური მონოპოლისტია, მის გარეშე ფეხბურთი არ არსებობს — ვინც ფიფა-ს წევრი არაა, ის საერთაშორისო ფეხბურთს მოწყვეტილია. რაგბიში ამის მსგავსი არაფერია: სადაც უნდა შედიოდე, ან არ შედიოდე, მაინც, ვისთანაც გინდა, იმასთან ითამაშე — დამშლელი არავინ იქნება. კიდევ ერთი საგულისხმო განსხვავება: ფეხბურთელმა რაგინდარა ასაკის ეროვნულ ნაკრებში ერთხელ თუ ითამაშა, **ვეღარასოდეს** ითამაშებს სხვა ქვეყნის რომელიმე ეროვნულ ნაკრებში. რაგბიში კი, საფეხბურთო საწყაოთი, ამ მხრივ, სრული განუკითხაობაა: არათუ წარსულში ესპარეზოს, კაცი შეიძლება ერთი ეროვნული ნაკრების წევრი იყოს და, იმავდროულად, სხვა ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში მიიწვიონ ტესტის სათამაშოდ!

აი, ასე განსხვავდება საფეხბურთო და სარაგბო სამყაროები. ამიტომ ყურით მოთრეულად მეჩვენება შემდეგი მოსაზრება: „ვთქვათ და, რუსეთს გამოვეყავით, მერე, ვთქვათ და, რუსებს ჩვენთან თამაში აუკრძალა ვინმე კოლოსკოვისნაირმა; მაშინ ხომ საკუთარ ნაჭუჭში მომწყვდეულნი აღმოვჩნდებით, თუ ირბ-მ არ გვცნო?“. ან კიდევ უარესი: „თავად რუსებმა რომ არ მიაღებინონ ჩვენი თავი ირბ-ში, მერე, რუსეთს გამოყოფილები, რა წყალში გადავვარდეთო?!“

ჯერ ერთი, ჯერჯერობით არც ერთი საერთაშორისო გაერთიანების წევრები არა ვართ და მაინც თავისუფლად ვეთამაშებით ზიმბაბველ, ფრანგ, ჰოლანდიელ, იტალიელ მორაგბეებს. მეორეც, როგორ შეუშლიან ხელს რუსული რაგბის „მამები“. ირბ-ში ჩვენს შესვლას, თუკი თავად არ არიან მისი წევრები და მიღება-არმიღებასაც მხოლოდ რაგბის რვა „ბუმბერაზი“ ქვეყანა წყვეტს? მესამეც, ვთქვათ და, „კოლოსკოვებმა“ მართლაც ყოველმხრივ დაგვიხშეს გზა (რაგბიში ეს ფანტასტიკის სფეროშია); რამდენ ხანს გასტანს ეს ბლოკადა და რას დავკარგავთ ამით? — ვეჭვობ, რომ — ბევრს; პირიქით, ეგებ გვარგოს კიდეც ასეთმა დროებითმა იზოლაციამ: რაც უნდა იყოს, მღვრიე წყალს თავისუფლება უკეთ დაწმენდს; თანაც, მშობლიურ წიაღში დაბრუნებული გუნდები რუსებთან ურთიერთობით მივიწყებულ ქართულ სათამაშო სტილს აღორძინებენ და ზურგს შეაქცევენ რუსების მიერ ნალოლიავებ და დამკვიდრებულ „სტანდარტულ წიხლაობას“ — ვინ შემედავება, რომ აქ, მაგალითად, ფეხბურთელებზე ნაკლებად არ გვიჭირს?! ხოლო, რაც შეეხება ირბ-ს, მასში შესვლა ოდენ იმისთვის გვჭირდება, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა შორის რომ ამოვყოთ თავი — მეტი არაფრისათვის!

**აი, სულ ესაა, რის თქმასაც ვეშურებოდი. კიდევ გავიმეორებ, საჭიროდ მიმაჩნია, რომ ჩვენს რაგბიში წესრიგი დამყარდეს, საქართველოს რაგბის კავშირი კანონიერად დაეფუძნოს და ქართული რაგბის ერთპიროვნულ ბატონ-პატრონადაც მოგვევლინოს. ამისათვის კი შუა გზაზე გაჩერება არ ეგების: რაც შარშან ზაფხულს დავიწყეთ, ფეხბურთელების მსგავსად ბოლომდე უნდა მივიყვანოთ!**

**ზაალ გიგინეიშვილი,**
საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის წევრი.

**რედაქციისაგან:** უდავოა, ეს წერილი, რომელშიც ავტორი თავის აზრს გვიზიარებს, ქართული რაგბის აწმყოს და სამომავლო პერსპექტივებზე, გულისტკივილითაა დაწერილი. ზ. გიგინეიშვილს „ლელოს“ მკითხველი კარგად იცნობს — იგი ჩვენი გაზეთის რაგბის მიმომხილველია. საქართველოს რაგბის კავშირის ჩამოყალიბებისას კი ამ კავშირის პრეზიდიუმის წევრადაც აირჩიეს. ამდენად, საქმის მცოდნე კაცთან გვაქვს საქმე და არა შემთხვევით ავტორთან. მიუხედავად ამისა, შესაძლოა, სარაგბო საზოგადოება, სპეციალისტები, ზოგიერთ საკითხში პრინციპულადაც კი არ ეთანხმებოდნენ ზ. გიგინეიშვილს. მით უკეთესი — ახლა სხვამ გამოთქვას თავისი აზრი, ვიმსჯელოთ, ვიკამათოთ და ისე დავადგინოთ ჭეშმარიტება. ჩვენც მხოლოდ სიმართლე და ქართული რაგბის სიკეთე გვინდა.

## უეფა-ს სანქციები

ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირმა ოფიციალურად გამოაქვეყნა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც ევროპის საკლუბო ტურნირების პირველ მატჩებში ვერ მიიღებენ მონაწილეობას წინა გათამაშებაში ჩადენილი დანაშაულის გამო.

თასების მფლობელთა თასზე კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში ვერ ითამაშებენ ი. იარემჩუკი და ა. ცვეიბა, უეფა-ს თასის გათამაშებაში მინდორზე ვერ გამოვა ოდესის „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელი ი. საველიევი. პირობითია სასჯელი მოსკოვის „სპარტაკის“ მოთამაშე ვ. პასულკოს მიმართ, ვინაიდან იგი უკვე აღარ თამაშობს ამ გუნდში.

## ვ. კოლოსკოვი განცვიფრებულია

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებისა და კიევის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი სამუშაოდ მიიწვიეს არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, სადაც 1 ოქტომბრიდან სათავეში უნდა ჩაუდგეს ეროვნულ ნაკრებს, მისი კონტრაქტის თაობაზე ცნობების მიღება სურდათ პრესის წარმომადგენლებს.

მაგრამ ვ. ლობანოვსკიმ განაცხადა, რომ მისი დუბაიში გამგზავრება საბოლოოდ გაირკვევა სექტემბრის შუა რიცხვებში „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე, მანამდე კი მას უფლება არა აქვს ილაპარაკოს კონტრაქტის დეტალებზე.

ვ. ლობანოვსკის არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში გამგზავრების თაობაზე თავისი აზრი გამოთქვა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ვ. კოლოსკოვმა:

— მთელი ეს საქმე ჩემში განცვიფრებას იწვევს. სულ ამ ერთი თვის წინ ვ. ლობანოვსკიმ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე განაცხადა, რომ კიევის „დინამოსთან“ აქვს დადებული კონტრაქტი და მისი პირადი გეგმებიც მხოლოდ ამ კლუბთანაა დაკავშირებული.

## I ლიგა

4 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის მატჩები.

სოხუმის დინამოელებმა მოსკოვში „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ შეძლეს ქულის აღება — 0:0.

ფრედ დამთავრდა ტაშკენტის „ფახთაქორისა“ და ბაქოს „ნეფთჩის“ (2:2), აგრეთვე, ალმა-ათის „კაირატისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ (1:1) შეხვედრები. კემეროვოს „კუზბასმა“ საკუთარ მინდორზე წააგო კრასნოდარის „ყუბანთან“ — 1:2.

## სახიფათო პოპულარობა

იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ფეხბურთელი რობერტო ბაჯო დიდად პოპულარულია თავის ქვეყანაში. მისი სახელი არ სცილდება სპორტულ გამოცემათა ფურცლებს, სარეკლამო ფარებს...

ასეთი პოპულარობა ზოგიერთ შემთხვევაში სახიფათოც ხდება. ამ რამდენიმე ხნის წინ რ. ბაჯო მეუღლესთან ერთად გაემგზავრა საკურორტო ქალაქ სან-რემოში. აქ მათ მიაკითხეს უნივერსალურ მაღაზია „ანა მოდეს“. მაგრამ განთქმული ფეხბურთელი მაღაზიის შესასვლელთანვე იცნეს გულშემატკივრებმა. მას უამრავი ხალხი დაეხვია. ფეხბურთის მოყვარულები ჯერ ავტოგრაფს თხოულობდნენ, შემდეგ იერიშზე გადავიდნენ და ფეხბურთელს ზედვე შემოახიეს ტანსაცმელი. — შეიქნა ნამდვილი ზედახორა. რ. ბაჯომ და მისმა მეუღლემ რის ვაი-ვაგლახით შეძლეს თავი დაეღწიათ „თავდამსხმელებისაგან“. ისინი დირექციის ოთახში ჩაიკეტნენ და დაახლოებით სამი საათი იმყოფებოდნენ ამ თავისებურ „სასიამოვნო“ ტყვეობაში.

მაღაზიას რომ თავი დააღწიეს, ცოლ-ქმარი სასაუზმოდ რესტორან „ლა პინიეზეში“ გაემართა, რომლის მფლობელია „იუვენტუსის“ ყოფილი ფეხბურთელი მარიო ვენტიმილია (ამ კლუბში იგი დაახლოებით 40 წლის წინ თამაშობდა). მაგრამ რ. ბაჯო და მისი მეუღლე აქაც გულშემატკივართა ალყაში მოექცნენ, გამეორდა იგივე ამბავი, რაც „ანა მოდეში“.

მ. ვენტიმილია იძულებული იყო გასაჭირში მყოფი ფეხბურთელი და მისი მეუღლე რომელიღაც დამხმარე სათავსოში მოეთავსებინა, ვინაიდან გულშემატკივართა „ალერსმა“ ერთობ სახიფათო ფორმები მიიღო. მხოლოდ ნაშუაღამევს მოახერხეს „ხიზნების“ სამშვიდობოზე გაყვანა.



ბრემე — ჩოგბურთელი

მსოფლიო ჩემპიონის გფრ-ის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ანდრეას ბრემე ჩოგბურთის დიდი მოყვარულია, ზაფხულში, როცა არდადეგები ჰქონდა, ბრემე მონაწილეობდა მონტე კარლოს დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც არაერთი ცნობილი ჩოგბურთელი გამოდიოდა.

### ვიალი რეკლამას უწევს

გენუის „სამპდორიისა“ და იტალიის ნაკრების პოპულარული ფეხბურთელი ჯანლუკა ვიალი სისტემატურად უწევს რეკლამას თავის კლუბსა და მის სპონსორს — ფირმა „ერგს“. ვიალი, რომელიც ამავე დროს დიდი ავტომოყვარულიცაა, რეგულარულად დადის გენუაში თავისი „ფერარით“, რომელიც

კორთულია ფირმა „ერგის“ რეკლამებით. „სამპდორიის“ მესვეურები, ეტყობა, სამართლიანად თვლიან, რომ ჯ. ვიალიზე უკეთეს სარეკლამო აგენტს ვერსად ნახავენ.

### „ოლიმპიკის“ ფანტასტიკური სახსრები

ფრანგული პრესის ცნობით, ამ ქვეყნის ყველაზე მდიდარ საფეხბურთო კლუბ „ოლიმპიკის“ (მარსელი) ბიუჯეტი 1990-91 წლების სეზონში 200 მილიონ ფრანკს შეადგენს. ეს ის კლუბია, რომლის მეპატრონე, ცნობილი მაგნატი ბერნარ ტაპი კარგა ხანია ეპატიჟება დიეგო მარადონას.

როგორც მიმომხილველები ხუმრობით წერენ, გფრ-ის ფინანსური გიგანტი „ბაიერნი“ თავისი წლიური 110 მილიონი ფრანკით (მარკების ფრანკებზე გადაყვანა შედარების გაადვილებისთვის გაკეთდა) „ოლიმპიკოსთან“ შედარებით უბრალოდ ღარიბი გუნდია.

### შილტონს იმედი აქვს

ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების განთქმულმა მეკარემ, მსოფლიო რეკორდსმენმა ნაკრებში გამოსვლების რაოდენობის მიხედვით (125 მატჩი) პიტერ შილტონმა განაცხადა, რომ ასაკის გამო წყვეტს თამაშს ნაკრებში, იგი მხოლოდ ინგლისის ჩემპიონატში გააგრძელებს გამოსვლებს.

თუმცა, როგორც ინგლისელთა ახალმა მწვრთნელმა გრეჰემ ტეილორმა ჟურნალისტებს აცნობა, პ. შილტონი მთლიანად არც ნაკრებს ეთხოვება — იგი მისი მეკარეების მწვრთნელი გახდება.

### მშვენიერი ზახამრჯელო

როგორც ინგლისური გაზეთები იუწყებიან, ამ ქვეყნის ფეხბურთის ნაკრების ახალი მწვრთნელი გ. ტეილორი წელიწადში 300 ათასი დოლარ ხელფასს მიიღებს.

# წარსული საუკეთესო მასწავლებელია

როცა შორიდან ადევნებ თვალს ფეხბურთელების ცხოვრებას: ყოველდღიურ ვარჯიშს, უამრავ ტრავმებს, დეპრესიებსა და სტრესებს, მომქანცველ მგზავრობას, გამუდმებულ ზრუნვას წონის შესანარჩუნებლად — ფიქრობ, ალბათ, ერთი სული აქვთ როდის მიანებებენ თავს თამაშსო. ბევრს გარკვეული აპათიაც უჩნდება ბურთის მიმართ. მაგრამ საფეხბურთო მინდვრიდან წასულებს როცა არ უნდა „დაჰპირდე“ მეორე სიცოცხლეს, დაუფიქრებლად გიპასუხებენ, მასაც ასევე გავხარჯავდიო. სხვისი არ ვიცი, მე კი სხვაგვარი პასუხი არავისგან მომისმენია. ეტყობა, ამ „კოპლებიან ჯადოქარს“ ანდამატივით ძალა აქვს და ერთხელ თუ „წაგიცდა ფეხი“, ბოლომდე მისი მონა-მორჩილი იქნები.

თემურ ჩხეიძეც ბურთს თავის ბიჭობაში დაუმეგობრდა და მას შემდეგ უიმისოდ არ უცხოვრია. მასთან სასაუბროდ სწორედ ამ სიყვარულმა მიგვიყვანა და კიდევ იმან, რომ წლების მანძილზე ლანჩხუთის „გურიას“ ლიდერისა და კაპიტნის, ამჟამად კი გუნდის უფროსის, მხრებზე გადაიარა გუნდის აღზევებამაც და დაღმასვლამაც, ტკივილმაც და სიხარულმაც. მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო ჩემპიონატი ისტორიას ჩაბარდა, გასახსენებელი თემურს მაინც მრავლად აქვს.

ასეა, წარსული საუკეთესო მასწავლებელია.

● **თემურ, თქვენს ცხოვრებაში ხომ არ ყოფილა პერიოდი, როცა შეიძლებოდა თქვენი გზა სულ სხვა მხარეს წასულიყო?**

— ფეხბურთის თამაში ჯერ კიდევ პატარამ დავიწყე ლანჩხუთში მწვრთნელების — იმედო დუნდუას, დანტეს ჯეჯელავასა და სერგო ცინცაძესთან. 1969 წელს კი თბილისში გადავედი ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლაში ვლადიმერ ელოშვილთან. ამ ადამიანს დიდად ვუმადლი — საბოლოოდ მან ჩამომაყალიბა პიროვნებად და ფეხბურთელად. ახალგაზრდობაში დიდი ნებისყოფა სჭირდება ადამიანს, რათა მართალი გზიდან არ გადაუხვიოს და, თუ მხარში ამომდგომი არ ეყოლა, შეიძლება დაიკარგოს კიდეც. მე ფეხბურთის სიყვარულმა გადამარჩინა და სწორედ ეს სიყვარული მკარნახობდა, რომ უკუღმართი ნაბიჯი არ გადამედგა. და კიდევ ერთი, არ ვიცი, რა თვისება დაინახეს ჩემში — მოყოლებული ბავშვთა გუნდიდან, თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში, საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებსა თუ ლანჩხუთის „გურიის“ შემადგენლობაში, ყველგან კაპიტანი ვიყავი და, ალბათ, ლიდერის ფუნქცია მავალებდა „კარგი ბიჭი“ ვყოფილიყავი. რამდენად შევძელი ეს, არ ვიცი.

● **განვლილ წლებს თვალს რომ გადაავლებთ, რაიმეზე ხომ არ გწყდებათ გული?**

— ჩემი სპორტული კარიერის დასაწყისი იმ პერიოდს დაემთხვა, თბილისის „დინამოს“ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობა რომ ჰყავდა. ამ გუნდში რომ ვერ ვითამაშე, ამაზე მწყდება გული და კიდევ იცით რაზე? — მაშინდელმა პრესამ ეს ფაქტი არაობიექტურად გააშუქა, თითქოს მე არ მსურდა ამ გუნდში თამაში, არადა, გუნდის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ხომ იცოდა, ვინც დაურეკა რამდენჯერმე და უკან „გამოსთხოვა“ ჩემი თავი... თუმცა მე მაინც არ ვემდური ბედს, ვითამაშე ჩემს მშობლიურ გუნდში და აქ ყოფნამ მრავალი სასიხარულო წუთი მაჩუქა, გულშემატკივართა სიყვარულით დამაჯილდოვა, სიმაღლეების დაპყრობით გამოწვეული სიამაყე განმაცდევინა.

● **როგორ გგონიათ, ფეხბურთმა უფრო მეტი მოგცათ თუ წაგართვათ?**

— რა თქმა უნდა, მომცა, მაგრამ, თუ არ გაეცი, ისე ვერ მიიღებ, ვცხოვრობდით ბერებივით ასკეტურად, ყოველდღიურ სიამეთაგან გარიყულები, მაგრამ გავიმარჯვებდით თუ არა, ყველაფერი გვავიწყდებოდა. ასე მწამს — საყვარელ საქმეს უნდა შესწირო ყველაფერი. მე ჩემს შვილებსაც ამ გზით სიარულს ვურჩევ.

● **ყველაზე „ტკბილად“ მაინც რომელ დღეს გაიხსენებდით?**

— ფეხბურთიდან — 1979 წლის 13 ნოემბერს, როცა II ლიგიდან პირველში გადავედით. მაშინ დაიწყო „გურიის“ აღმასვლა. პირადი ცხოვრებიდან — ჩემი ლაშას და ლევანის მოვლენას ამ ქვეყნად.



● **„გურიის“ აღმასვლა ახსენეთ. ამ ამბავს კი მრავალი „ჭრელ-ჭრელი“ ხმები მოჰყვა. მართლა ისე იგებდით მატჩებს, როგორც ამბობდნენ?**

— პირადად მე, მაგ საქმეებში არ ვერეოდი და ვცდილობდი, ამის შესახებ არც მცოდნოდა. ერთი-ორჯერ, როგორც კაპიტანს, მითხრეს, თამაში გარიგებულია და ამ ანგარიშით უნდა დამთავრდესო. იმ თამაშებში მოედნის ცენტრიდან ფეხი არ გადამიდგამს. ამიტომ ვთხოვდი, რომ ჩემთვის არაფერი გაეგებინებინათ. მე თამაში მინდოდა. ვაი, რომ ეს „ჩაწყობა“ მაშინ საჭირო იყო — დრო და ვითარებამ მოიტანა, სხვანაირად დაგვჩაგრავდნენ. ერთხელ მეტად პრინციპულ მატჩში ცსკა-ს ვხვდებოდით. შეხვედრის შედეგი გაარკვევდა მცირე ოქროს მედლის მფლობელს. მატჩს, რომელიც უჟგოროდში მიმდინარეობდა, სჯიდა ტომსკელი მსაჯი კუზნეცოვი. 0:1-ს ვაგებდით და მსაჯმა 100%-იანი გოლი არ ჩაგვითვალა, თანაც დანელია უმიზეზოდ გააძევა მინდვრიდან. ასე რომ, ათი თავით მაღლაც რომ მდგარიყავი.... თან ორი ქართული გუნდი უმაღლეს ლიგაში ძალიან „ყვიროდა“.

● **ყოველ ნაბიჯს აქვს თავისი ნეგატიური და პოზიტიური მხარე. „გურიის“ ფეხბურთელები პირველნი გამოეხმაურნენ ეროვნულ ჩემპიონატს. ზოგმა ეს ნაბიჯი რევერანსად ჩათვალა. სინამდვილეში როგორ გადაწყვიტეს ბიჭებმა ამ განცხადების დაწერა და გამოქვეყნება?**

— მე მიხარია, რომ გუნდში საკმაოდ პრინციპული ეროვნული გრძნობით დამუხტული ბიჭები გვყავს. ჯერ კიდევ პოლემიკა რომ მიმდინარეობდა ამის თაობაზე, ისინი მაშინ უჭერდნენ მხარს ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობას. გადაწყდა თუ არა ეს საკითხი, გუნდის ხელმძღვანელობასთან ყოველგვარი მოლაპარაკების გარეშე შეიკრიბნენ და დაწერეს განცხადება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ იმ პერიოდში „სოვეტსკი სპორტი“ წერდა, თითქოს ჩვენ განაცხადის წარდგენის ვადის გადაწევას ვთხოვდით საკავშირო ფედერაციას.. ეს ცენტრის მორიგი ბლეფი იყო.

● **საინტერესოა თქვენი აზრი ეროვნული ჩემპიონატის შესახებ.**

— საქართველოში იმგვარი ბუნებრივი პირობებია, ზამთარ-ზაფხულ ძეიძლება ფეხბურთის თამაში. მერე, ქართული ფენომენიდან გამომდინარე, ტალანტები მოვლენ. წინათ ხშირი იყო შემთხვევა, როცა საქართველოს უპირველეს გუნდში თუ ვერ მოხვდებოდა ფეხბურთელი, გულნატკენი, საერთოდ მიდიოდა სპორტიდან. ახლა მათ გაცილებით მეტი შანსი ეძლევათ, გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები.

მე გული მწყდება, რომ ლანჩხუთელი გულშემატკივარი როგორღაც ინერტული გახდა, არადა, როცა გუნდი ლიდერთა შორისაა, სწორედ მაშინ სჭირდება მას მხარდაჭერა. სავსე ტრიბუნები ხომ ფეხბურთელისთვის ფრთების შემსხმელია.

უნაკლო, ალბათ არსად, არც ერთი ქვეყნის ჩემპიონატი არ არის. ჩვენ ისიც ვნახეთ, მსოფლიო ჩემპიონატზე საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები უშვებდნენ შეცდომებს. ჩვენი მსაჯები კი, უმეტესად, „შებორკილად“ მსაჯობენ მატჩებს.

მაგრამ, ვფიქრობ, გადამწყვეტი ძალა მაინც ხალხია და. მინდა მათ ვთხოვო, ჩვენს მიმართ ცინიზმით აღსავსე ცენტრს ნუ გაჰყვებით. ფეხბურთელებმა და გუნდის ხელმძღვანელობამ კი თავი უნდა შეიკავონ, რათა ზედმეტი ნერვულობით ფსიქოლოგიური ზემოქმედება არ მოახდინონ გულშემატკივარზე.

● **წლევანდელი ჩემპიონატის I წრის სტატისტიკური მონაცემებით, „გურია“ უდისციპლინო გუნდების ხამეულში შედის, თქვენ კი წელან შეაქეთ თქვენი ბიჭები...**

— თითქმის ყოველი თამაშის წინ ვესაუბრებით ფეხბურთელებს, რათა მინდორზე რაინდულად მოიქცნენ. ზოგჯერ მსაჯებიც სცოდავენ, ზოგჯერ მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელებიც გამომწვევად იქცევიან და ეს ყველაფერი „გვიგროვებს“ ყვითელ ბარათებს. მეორე წრიდან ყოველ გაფრთხილებაზე ჯარიმა დავაწესეთ. თუმცა აქაც იქნება განსხვავება. თუ ფეხბურთელი ყვითელ ბარათს ბრძოლის დროს უნებლიე შეცდომის გამო მიიღებს, მას ეპატიება, ხოლო არასპორტული საქციელისთვის გაფრთხილებას, კლუბის მხრიდან მატერიალური სასჯელი დაემატება. წინათ კრებას მოვიწვევდით ხოლმე და, თუ პარტიული ან კომკავშირელი იყო ფეხბურთელი, ამ ორგანიზაციების მეშვეობითაც ვადებდით სასჯელს. ამან ნაყოფი ვერ გამოიღო. როგორც ჩანს, „ჩვენი“ იდეოლოგია აქაც უძლური გამოდგა.

● **როგორი თვისებები უნდა ჰქონდეს ფეხბურთელს, გულშემატკივართა სიყვარული რომ დაიმსახუროს?**

— გულშემატკივარი ფეხბურთელის მონდომებას და ბრძოლის ჟინს უნდა გრძნობდეს, თუ ეს შეგამჩნია, წვრილმან შეცდომებს გაპატიებს. და, რაც მთავარია, რაინდი უნდა იყო ბრძოლაში.

● **ამდენი ხანია ვსაუბრობთ და სიტყვა ფეხბურთის იქით „არ გაგვქცევია“. მოკლედ, რა არის ფეხბურთელის ცხოვრება?**

— გამუდმებული ძებნის, ძიების პროცესია ფეხბურთელობა და ყოველი დღე სწორედ ახლის ძიებით უნდა იწყებოდეს.

ესაუბრა
ინგა ჩახვაშვილი

### თადარიგი... 1998 წლისთვის!

ბრაზილიის მთავრობამ სპორტის მინისტრ ზიკოს დაავალა შექმნას კომისია, რომელიც სისტემატურად იმუშავებს მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ორგანიზაციის საკითხებზე. ბრაზილიელები დარწმუნებული არიან, რომ მიიღებენ ამ პირველობის ჩატარების უფლებას.

### მსაჯების პირობები გააუმჯობესა

უეფა-მ გადაწყვიტა გააუმჯობესოს პირობები მსაჯებს, რომლებიც მისი ეგიდით გამართულ მატჩებს ემსახურებიან. ამიერიდან იგი თვით გადაუხდის მსაჯებს ჰონორარსაც და თვითმფრინავის ბილეთების ფულსაც. აქამდე ამ ხარჯებს კლუბში იღებდნენ, რაც, თავის მხრივ, მსაჯებს ხშირად არაობიექტურობისკენ უბიძგებდა.

# საკალათბურთო „პოლონეზი" ქართველთა შესრულებით

სპორტის, განსაკუთრებით კი კალათბურთის, მოყვარულთ ქორქიების წარდგენა არ სჭირდებათ, რადგან ჩვენში ამ სახეობის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით სწორედ მათ, რომელთაც, რომ იტყვიან, დედა-ბუდიანად ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი ეს ცეცხლოვანი თამაში. ამასთან, ბევრი რამ პირველი დაკავშირებულია ქორქიების საგვარეულოსთან. თავად განსაჯეთ, ქორქია — უფროსი (ოთარი) იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების პირველი ქართველი კაპიტანი და სწორედ მისი თავკაცობით გახდა ეს ნაკრები პირველად კონტინენტის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი. პირველი ოლიმპიური „ოქროც" ქორქიების დინასტიის წარმომადგენელ მიხეილის (ო. ქორქიას ძმისწული) აქტიური „ჩარევით" მოიპოვა ქვეყნის ნაკრებმა. რაც შეეხება ოთარის ვაჟს — ნოდარს, იგი 1982 წლამდე იცავდა თბილისის „დინამოს" ღირსებას საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე, მაგრამ როგორც კი 30 წელი შეუსრულდა — ყავლი გაგივიდაო — უთხრეს ჯან-ღონით სავსე სპორტსმენს. სხვათა შორის, ჩვენში, რატომღაც, ეს ასაკია მიჩნეული სპორტსმენთათვის კრიტიკულად, მაგრამ საქმე რომ ოდენ სპორტსმენის საპასპორტო მონაცემებში არ არის, ამაში ხშირად დავრწმუნებულვართ. ნ. ქორქია ასე ერთბაშად როგორ შეელეოდა კალათბურთს, ამიტომაც სიამოვნებით დასთანხმდა მწვრთნელ ზურაბ ლეონტიევს, რომელმაც სთხოვა ქალაქის სატრანსპორტო გაერთიანების ახალშექმნილ გუნდს დახმარებოდა თავისი მდიდარი სათამაშო გამოცდილებით და „დინამოს" მაისური „სინათლისაზე" (ასე ჰქვია ტრანსპორტელთა გუნდს) გაეცვალა. მალე მას მხარში ამოუდგა „დინამოდან" ასევე ნაადრევად დათხოვილი პაატა გურასპაული. „სინათლეს" მართლაც დიდად გამოადგა დინამოელთა გამოცდილება და გუნდმა უშეღავათო ორთაბრძოლებში მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა, რომლისკენაც თბილისის, ქუთაისის, სოხუმისა და სხვა ქალაქების უძლიერესი გუნდები ისწრაფვოდნენ.

შარშან კი ვეტერანმა კალათბურთელებმა მხრებიდან წლების ტვირთი „ჩამოიბერტყეს", როცა „პოლონურ ეპოპეაში" ჩაებნენ. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ პოზნანის „ინტურისტში" თავის საქმეებზე ჩასულ ქართველ კოოპერატორს რევაზ თათარაშვილს მასპინძლებმა ჰკითხეს, ხომ არ ეგულებოდა გამოცდილი კალათბურთელები, რომლებიც კლუბ „ლეხ პოზნანს" (ფირმა ამ გუნდის სპონსორია) გააძლიერებდნენ, თორემ გუნდი აუტსაიდერთა რიგებშია და შეიძლება გამოემშვიდობოს კიდეც პირველ ლიგასო. რ. თათარაშვილმა შინ დაბრუნებისთანავე ნ. ქორქიასა და პ. გურასპაულს გაანდო პოლონელთა სურვილი და ჰკითხა, ძალას ხომ არ ცდითო. ნ. ქორქიამ შორს დაიჭირა: რაღა დროს ჩემი სერიოზულ გუნდში თამაშია, ამდენი წელია ჩამოვშორდი დიდ კალათბურთს, აი, გურასპაული, სხვა საქმეა, ჩემზე ბევრად ახალგაზრდაა, თანაც სულ ახლახან დატოვა დიდი სარბიელი და სპორტული ფორმის აღდგენა არ გაუჭირდებაო. ამდენად, „სინათლის" ორკვირიანი ტურნე პოლონეთში, ფაქტობრივად, გურასპაულის გამოცდა იყო. მაგრამ მოხდა ისე, რომ გურასპაულთან ერთად „ლეხ პოზნანმა" ნოდარ ქორქიასაც შესთავაზა კონტრაქტის დადება. ასე ჩაირიცხნენ ყოფილი დინამოელები ახალ კლუბში. დაიწყო ინტენსიური მზადება მომავალი ორთაბრძოლებისათვის. მალე „ლეხ პოზნანი" ეროვნული ჩემპიონატის სათავეში მოექცა, შემდეგ კი უძლიერესის წოდება მოიპოვა. გუნდს აქვე კიდევ ერთი სერიოზული გამოცდა ელოდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე, სადაც მისი მეტოქე იყო კიევის ცნობილი გუნდი „ბუდიველნიკი". პოლონელებმა ეს ორრაუნდიანი ბრძოლა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს და კონტინენტის უძლიერეს გუნდებთან ერთად განაგრძეს ბრძოლა. რომე-



ლთა შორის იყვნენ საქვეყნოდ აღიარებულ თელ-ავივის „მაკაბი", „ბარსელონა", სალონიკის „არისი", (სადაც თვით გალისი გამოდის), „იუგოპლასტიკა", ჰოლანდიის „კომადორი", საფრანგეთის „ლიმოჟი"...

სამოყვარულო კლუბ „ლეხ პოზნანს" აშკარად გაუჭირდა ასეთ „გრანდებთან" გამკლავება გუნდი საამისოდ მზად არ იყო. წარმოიდგინეთ, შაბათ-კვირას პოლონეთის ჩემპიონატის შეხვედრები, ყოველ ხუთშაბათს კი ევროპის საკლუბო ტურნირის მატჩები, რამდენ ძალას ართმევდა „ახალბედებს". მიუხედავად ამისა, როგორც მოწვეული მოთამაშეებისათვის, ასევე თვით „ლეხ პოზნანისათვის" დიდი სიამოვნება იყო ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა.

— ამ ტურნირში გამოსვლამ,— გვითხრა ნ. ქორქიამ, — საკუთარი ძალების რწმენა შემმატა და კიდევ ერთხელ თვალნათლივ დამარწმუნა, რომ ჩვენში ძალზე ადრე ველევით კალათბურთელებს, წარმოიდგინეთ, მილანის „ფილიპსში" სამი მოთამაშე ჩემზე უფროსია: ბობ მაკადუ — 39 წლისაა, დინო ბენეკონე — 39-ის, დე ანტონი — 38... ასე რომ, იქნებ ჩვენმა მწვრთნელებმა გაითვალისწინონ ეს.

**უშანგ ჟიჟინაძე**

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მატჩები ევროპის ჩემპიონთა თასზე ნოდარ ქორქიას მონაწილეობით.**

# უნიკალური კრისტა როტენბურგერი



30 წლის კრისტა ლუდვიგ როტენბურგერი სავსებით სამართლიანად ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მრავალმხრივ სპორტსმენად. განსაჯეთ თავად. 1984 და 1988 წლებში იგი ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედლებს ფლობდა ციგურებში, იმავე 1988 წლის ოლიმპიადაზე კი ვერცხლის მედალი მოიპოვა ველოსიპედისტ სპრინტერთა შეჯიბრებაში. მეორე ასეთ სპორტსმენს, რომელიც ერთნაირად ძლიერი იყო ზამთრისა და ზაფხულის სახეობებში, ძნელად თუ დაასახელებთ.

ერთი წლის წინ როტენბურგერმა თავი დაანება დიდ სპორტს, მაგრამ როგორც ჩანს ვერ გაძლო საყვარელი საქმის გარეშე და სამ ათეულ წელს მიღწეულმა, მაინც დაბრუნება არჩია. იგი უკვე შეუდგა ინტენსიურ წვრთნას ციგურაობაში, თავისი გადაწყვეტილება კი ასე დაასაბუთა: „დიდი სურვილი მაქვს მეხუთედ გამოვიდე ოლიმპიურ თამაშებში".

სპორტიდან წასვლა მან შარშან ზამთარში გადაწყვიტა, როცა საციგურაო სპორტში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. სახელოვან სპორტსმენს საზეიმო გაცილება მოუწყვეს, სადაც აღინიშნა, რომ მსოფლიო ისტორიაში უნიკალური შემთხვევაა, როცა ერთსა და იმავე წელს სპორტსმენი ჯერ ზამთრის ოლიმპიურ ჯილდოს იღებს, მერე კი ზაფხულისას.

კრისტას, რომელიც ქალაქ ვაისვასერში ცხოვრობს, წლეულს აპრილში ვაჟიშვილი მაქსი შეეძინა. თორმეტი კვირის შემდეგ კი მან ვარჯიშები განაახლა. თავდაპირველად როტენბურგერი მსუბუქი ტანვარჯიშული მოთელვით იფარგლებოდა. მერე ველოსიპედზე დაჯდა, მაგრამ დატვირთვებს ფრთხილად უმატებდა. ამჟამად მე -ისევე შორს ვარ მსოფლიო რეკორდისაგან, როგორც კარიერის დასაწყისში, — თქვა მან. მაგრამ სექტემბერში უსათუოდ გავალ ყინულზე. თუ რაიმე განსაკუთრებული არ შეემთხვა, წლეულს დეკემბერში რომელიმე შეჯიბრებაში მოსინჯავს ძალებს.

# ელოდებიან აზიის ოლიმპიური საბჭოს გადაწყვეტილებას

შაბათს, 8 სექტემბერს, აზიის ოლიმპიური საბჭო (ოსა) გადაწყვეტს, დაუშვას თუ არა ერაყელი სპორტსმენები მორიგ კონტინენტურ თამაშებში (მოეწყობა 22 სექტემბერ-7 ოქტომბერს პეკინში). ეს პრობლემა წამოიჭრა ამას წინათ ერაყის მიერ ქუვეითის ოკუპაციის შედეგად (ორივე ქვეყანა ოსა-ს წევრია).

როგორც აზიის ოლიმპიური საბჭოს გენერალურმა მდივანმა ლალ მეხტამ განაცხადა, არაბეთის ზოგიერთი ქვეყანა ბოიკოტით იმუქრება, თუ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ერაყის დელეგაცია. მაგრამ გენერალური მდივნის სიტყვებით, ჯერ გასარკვევია, აქვთ თუ არა ოსა-ში შემავალ ქვეყნებს უფლება — აუკრძალონ ვინმეს ასპარეზობაში გამოსვლა? და თუ აქვთ, მაშინ საკითხი უნდა გადაწყდეს ყველა ქვეყნის დელეგატთა კონსენსუსით.

ტელექსში, რომელიც მეხტამ საბჭოს წევრებს დაუგზავნა, დასმულია შეკითხვა: შეეფარდება თუ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანქციებს ერაყის სპორტული ბლოკადა? პასუხი საბჭომ 6 სექტემბრისთვის უნდა მიიღოს. ამავე დროს, საბჭოს სხდომა განიხილავს ქუვეითელ სპორტსმენთა სტატუსს, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ პეკინის თამაშებში.

რამდენიმე ხნით ადრე ერაყის საქციელი ოფიციალურად დაგმეს სპარსეთის ყურის ქვეყნების ოლიმპიურმა კომიტეტებმა და მოითხოვეს ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა დამპყრობელ ქვეყანასთან მანამ, სანამ არ გაიყვანს ჯარებს ოკუპირებული ტერიტორიიდან.



**სუმოს — იაპონელთა უძველეს საბრძოლო ხელოვნებას — ორათასწლიანი ისტორია აქვს. სუმოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ტრადიციებს. მებრძოლი, როგორც წესი, არ უნდა იყოს 120 კილოგრამზე უფრო მსუბუქი. მაქსიმალური წონა კი 242 კილოგრამს არ უნდა აღემატებოდეს.**

**ბრძოლის წესი მარტივია: გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც მეტოქეს წრის გარეთ გაიყვანს, ან აიძულებს ხელის რომელიმე ნაწილით შეეხოს ლეიბს. დარტყმები სუმოში აკრძალულია.**

**სურათზე: ტოკიოში ამას წინათ გამართული ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი შეხვედრის მომენტი.**

## გუშინ...

**გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალური ეტაპის პირველი შეხვედრები.**

**თბილისში „იბერიამ" ანგარიშით 3:0 დაამარცხა ფოთის „კოლხეთი-1913".**

## ტელეტაიპი — მკითხველს

**ნიუ-იორკი.** „მფრინავი ჰოლანდიელის" კლასში (მსოფლიო ჩემპიონატზე) წარუმატებლად გამოდიან საბჭოთა აფროსნები. ევროპის ჩემპიონებმა გიორგი შაიდუკომ და ვიქტორ ბუდანცევმა პირველ რბოლაში არასწორად აიღეს სტარტი, მეორე რბოლაში კი წესების დარღვევისთვის დისკვალიფიკაცია დაიმსახურეს. ჩემპიონატს ჯერჯერობით ლიდერობენ იტალიელი ძმები ჯოვანი და აგოსტინო სომარივები.

**ხერეს-დე-ლა ფრონტერა.** ესპანეთის ამ ქალაქში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში გაუმჯობესდა მსოფლიო რეკორდი ქალთა 300-მეტრიან დისტანციაზე (ეს არ გახლავთ კლასიკური სახეობა). ორმა სპორტსმენმა — დენი ევერეტმა (აშშ) და რობერტო ერნანდესმა (კუბა) ერთნაირი დრო აჩვენეს — 31,48.

**რედაქტორი**
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

## ნარდის მოყვარულთა საყურადღებოდ!

**კომერციული ფირმა „ვესტას" თაოსნობით და ინიციატივით 9 სექტემბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართება საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაციის დამფუძნებელი კრება. დასაწყისი 12 სთ.**

**ვიწვევთ ნარდის ყველა მოყვარულს. შესვლა თავისუფალია.**

საქართველოს სპორტსახკომი და მძლეოსნობის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ მძლეოსნობაში რესპუბლიკური ფედერაციის ყოფილ თავმჯდომარეს გიორგი ქართველიშვილს მამის

**გაბრიელ მიხეილს ძე ქართველიშვილის**

გარდაცვალების გამო.

# ავიატორი—ბოთლში

47 წლის ინგლისელმა ავიატორმა და პარაშუტისტმა ტომ მაკლინმა ამ დღეებში აალაპარაკა სამყარო. იგი ერთადერთი კაცია, რომელმაც ხუთჯერ მარტოხელამ დაიპყრო ატლანტიკა, თანაც ბოლო ცდაზე ოკეანე ბოთლში გადაცურა.

დიახ, ზუსტად ასე იყო. 10 ივნისს ნიუ-იორკის მახლობლად ჩაჯდა იგი 11 მეტრის სიგრძის ნავში (წყალწყვა 11 ტონა), რომელსაც ჩვეულებრივი ბოთლის ფორმა ჰქონდა.

— ეს გახლდათ, — თქვა მან „ექსპერიმენტის" დამთავრების შემდეგ, — საკმაოდ მყარი ბოთლი, რომელიც, სამწუხაროდ, დიდ სისწრაფეს ვერ ანვითარებდა. სწორედ ამიტომ, მოგზაურობა 37 დღე-ღამეს გაგრძელდა.

ბოთლში (მას მაკლინმა „ტაიფუ ატლანტიკ ჩელენჯერი" დაარქვა) ოთხადგილიანი მუხის საწოლი იყო, მაგრამ მოგზაურს მოსვენებისა და ძილისთვის დრო, ფაქტობრივად, არ ჰქონდა.

ოკეანეში საგანგებო არაფერი მომხდარა. აი, საბაჟოში ჩხრეკამ კი მაკლინს საკმაოდ დიდი დრო და ნერვები წაართვა, მაგრამ იგი მაინც კმაყოფილია, ვინაიდან ჩანაფიქრი ზუსტად განახორციელა.. პირველად ატლანტიკაში იგი 1969 წელს „ჩაეშვა". მაშინ 4750 კილომეტრის დაფარვას 70 დღე-ღამე დასჭირდა.

როგორც ამბობენ ამ მოგზაურობისათვის რეკორდსმენს სპონსორებისაგან ნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი ერგებაო. ამ თანხას იგი მთლიანად გადასცემს უდედმამო ბავშვების ასოციაციას. გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენელმა ფელისიტი გუდმენმა აღნიშნა, რომ ატლანტიკის გადაცურვა ბოთლში გინესს არა აქვს რეგისტრირებული.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული, კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ხიტიშვილი.

ჩვენი მისამართი: წერილებისათვის — 380096, თბილისი, ც. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 99-97-55, ხელმძღვ. — 99-87-52, ინფორმაციის განყოფილება — 99-97-54, „ეკიპა" — 99-97-28, „მსმენ" — 99-97-27.

ჩვენი ინდექსი: 68485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ც. კოსტავას ქ. 14, ინდექსი ... ხელნაწერები არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20